

შრომითი და პოლიტიკური აღ- მავლობის ჯერ არახსულ პირო- ბებში შეხვდა საბჭოთა ხალხი კა- ცობრიობის ისტორიაში მნიშვნე- ლოვან დღეებს — სკკ XXII ყრილობას. ეს დიდი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში აღინიშნა ახალი გა- მარჯვებით და შრომითი გმირო- ბით. ყველაფერი ეს კეთდება ჩვე- ნი სოციალისტური სამშობლოს საიდებლად და კომუნისმის გა- მარჯვებისათვის. ყოველდღიურად, სულ უფრო ნათელი და ხელშეხა- ხები ხდება კომუნისმის ნიშნე- ბი, ამ მსოფლიო-ისტორიუ- ლი წარმატებების მოპოვება შესაძლებელი გახდა იმი- ტომ, რომ როგორც ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, „... ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის მშენებლო- ბის პროგრამა — არა მარტო კო- მუნისტების საქმეა, არამედ ყველა საბჭოთა ადამიანის, მილიონთა ცო- ცხალი საქმეა“.

სსრკ სკორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბაზის თავმჯდომარე

პარტიის XXII ყრილობის დაწ- ყებამდე საბჭოთა ხალხი აქტიუ- რად იბილავდა სკკპ პროგრამის პროექტს. ერთსულფონად იწონებ- დნენ რა ამ ისტორიულ დოკუ- მენტს, მუშები და კომლემურნიები, ინჟინრები და მეცნიერები ერთ- მად აცხადებდნენ, რომ პარტიის მიერ წინასწარ დასახული გრანდი- ოსული გეგმები შესრულდებულ იქნება.

და სორტმა საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში მყარი ადგილი დაიკავოს. სულ უფრო მე- ტი მუშა, კომლემურნი და მოსახმა- ლურე უთმობს თავისუფალ დროს ფიჭულტურას. ფიჭულტური კულ- ტურა მათ მალაღმწარმოებლურ შრომაში უხმარება. ასტრახანის საოლქო პარტიული ორგანიზაციის კომუნისტებმა ყრი-



ახალი გამარჯვებებისაკენ

პარტია ახალ, დიად გამარჯვე- ბებისაკენ მოგვიწოდებს. ფიჭულ- ტურული ორგანიზაციები პროფ- კავშირთან და კომკავშირთან ერ- თად ისწრაფვიან რომ გააკეთონ ყველაფერი, რათა ფიჭულტურამ

ლობის დღეგატად აირჩიეს ივანე კონსტანტინეს-ძე ბუნიაევი — მუ- შა, რომელიც სორტთან დიდ მე- გობობაშია. ბრიგადამ, რომელსაც ის უდგას სათავეში, წინასაყრილო- ბო შეჯიბრებაში მნიშვნელოვანი და

ბრწყინვალე წარმატებები მოიპოვა. ივანე კონსტანტინეს-ძე, რომელიც პირველია შრომაში და სწავლაში,

რჩი სორტსმენი. ათეულ ათასობით მომავალმა ახალგაზრდა მუშამ მიი- დო მონაწილეობა VII საკა- ვშირო პროფესიულ-ტექნი- კური განათლების სასწავ- ლებლების მოსწავლეთა

სპარტაკადის პროგრამით გათვა- ლისწინებულ შეჯიბრებებში. უკანასკნელ ოლიმპიურ თამაშებ- ზე საბჭოთა კავშირის გუნდმა დი- დი გამარჯვება მოიპოვა. ჩვენმა სპორტსმენებმა მედლებისა და ქუ- ლების ყველაზე დიდი რაოდენობა დააგროვეს და საგრძნობლად ჩამო- ტოვეს უკან ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი. არ შეიძლება არ იამყო იმით, რომ მსოფლიოს ოფი- ციალური რეკორდების თითქმის ნახევარი ჩვენი სამშობლოს წარ- მომადგენლებს ეკუთვნის.

1961 წელს — სკკპ XXII ყრი- ლობის წელს — ჩვენმა სპორტსმე- ნებმა მოიპოვეს გამარჯვებები მსო- ფლიო და ევროპის ჩემპიონატებში კალათბურთში, კრივიში, ჭიდაობა- ში, ნიხოსონობაში, ტანვარჯიშიში, ციგურაობაში, ფარიკაობაში, თანა- მედროვე ხუთჭიდავში, ჭიდაობაში და სპორტის სხვა სახეობებში.

საბჭოთა სპორტის მარჯვენა- ფლანგებზე — იური ვლასოვმა, რომელმაც ამას წინათ 208 კგ წო- ნის შტანგა აჰკრა და მძლეოსანმა ვალერი ბრუშელმა, რომელმაც 2 მ და 25 სმ სიმაღლე დაძლია — თა- ვისი რეკორდები მშობლიური პარ- ტიის ყრილობას მიუძღვნეს. სულ- ერთია, ეს იქნება ოლიმპიურ სტა- დიონზე, თუ თავის ხელით გაკეთე- ბულ მარტივ მოედანზე, თავის მიღ- წევებს ყველა საბჭოთა ფიჭულ- ტურული ყრილობას უძღვნის.

— შენ, პარტია! — გაისმის ამ დღეებში ჩვენი ვრცელი სამშო- ლოს ყველა მხარეში. — შენ, პარ- ტია — ზეგეგმითი ლითონი! შენ, პარტია, ახალი მოსავლის ოქროს მარცვლები! შენ, პარტია, ჩვენი მიღწევები შრომაში, სწავლაში და სპორტში!



ბ ორი ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ცხოვრე- ბის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა, აქ, ამ ქალაქში აღზრდილა საქართველოსა და საბ- ჭოთა კავშირის არაერთი ჩემპიონი და პრიზიორი; აქ ფართო პოპულარობით სარგებლობს სპორტის ბევრა სახეობა, რომელთა შორის აღსანიშნავია ქარ-

თული ჭიდაობა, ტანვარჯიში, კალათბურთი, ფეხ- ბურთი, ფრენბურთი და ა. შ. სურბთქმა: გორის სპორტული სკოლის ტანვარჯ- იშეთა სექციის მორიგი მეცადინეობა. მწვრთნელი გ. კოშაძე საუბარს უტარებს ნორჩ სპორტსმენებს. ფოტო ა. ადამოვისა.

ს ს ო რ ტ უ ლ ტ რ ა ვ მ ა ს თ ა ნ

საბჭოთა სპორტი ემსახურება ახალგაზრდა თაობის ჯანმრთელო- ბის განმტკიცებას, მაგრამ სპორტის გავრცელებას ზოგ შემთხვევაში თან ახლავს ტრავმებიც. ტრავმა შეიძლება იყოს მწვავე, ძლიერი, შეიძლება მას ჰქონდეს სისტემა- ტური, ქრონიკული ხასიათი — ე. წ. ქრონიკული მიკროტრავმა, რომელიც სპორტსმენის ორგანიზმ- ში მნიშვნელოვან ძვრებს იწვევს. სპორტულ ტრავმას ადგილი აქვს, როგორც ორგანიზმულ, ისე არა- ორგანიზმულ სპორტულ ღონის- ძიებათა ჩატარების დროს. თვითეულ სახეობას ახასიათებს სპეციფიური ტრავმა. საბჭოთა მედიცინის ერთ-

ერთი მთავარი ამოცანაა სპორტულ ტრავმათა მიზეზების შესწავლა, მათი აღმოფხვრა, სპორტულ ტრავმა- თა მკურნალობის რაციონალური მეთოდების შემუშავება. 1961 წლის 1 აპრილამდე საბჭოთა კავშირში იყო სპორტული ტრავმის ერთადერთი განყოფილება, ორგანი- ნიზებული ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ცენტრალური ინს- ტიტუტის ბაზაზე მოსკოვში. ბუ- ნებრივი, რომ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები ტრავმის მიღების შემთხვევაში სპეციალური დახმა- რების მისაღებად მიმართავენ ზემოხსენებულ სამედიცინო და- წესებულებას, რომელიც ბუნებ- რივია, ვერ უზრუნველყოფდა დრო-

ულ დახმარებას ყველა რესპუბლი- კის სპორტსმენთათვის. გაითვალისწინა რა ეს გარემო- ება, საქართველოს სპორტსაზოგა- დობათა და ორგანიზაციების კავ- შირის საბჭომ მოითხოვა, რომ რესპუბლიკის სპორ- ტსმენთა დროულ საე- ციალიზებული სამედიცინო მომსა- ხურებასათვის თბილისის ტრავმა- ტოლოგიისა და ორთოპედიის სა- მეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე შექმნილიყო საბჭოთა კა- ვშირში სპორტული ტრავმის მეორე განყოფილება. განყოფილება უკვე შეუდგა მუ- შაობას. იგი კვალიფიციურ სპე-

ამხანაგური შეჯიბრება

სკკპ XXII ყრილობის დღეებში წითელწყაროს სპორტულ მოედ- ნებზე ჩატარდა რამდენიმე ამხანა- გური და რაიონული შეჯიბრება. დამთავრდა თბილისის „დინამოს“ გამოჩენილი მეკარის ვ. მარღანიას სახელობის თასის გათამაშება ფეხ- ბურთში, რომელშიც მონაწილეობ- დნენ სასკოლო და საკომლემურნიე ფეხბურთელთა კოლექტივები. 15-

დღიანი ბრძოლები კარგად ჩატარა სოფელ არბოშიკის ფეხბურთელთა გუნდმა. დამსახურებულად მოიპო- ვა გარდამავალი თასი და პირველი ხარისხის დიპლომი. დამთავრდა აგრეთვე სოფლის ფიჭულტურე- ლთა რაიონული პირველობა ფრენ- ბურთში, აქ გამარჯვება არბოშიკე- ლებს დარჩათ. მიმდინარეობს გაზეთ „ახალი შარაქის“ თასის გათამაშება ფეხბურთში და სასკოლო რაიონუ- ლი სპარტაკიადა ფრენბურთში, კა- ლათბურთში, მძლეოსნობასა და მა- გიდის ჩოგბურთში.


კ რო ს ი ს დ ის ტ ა ნ ც ი ა ზ ე

900 მძლეოსანი გამოვიდა საბჭო- თა კავშირის კომუნისტური პარ- ტიის XXII ყრილობისადმი მიძღვ- ნილ კროსის სტარტზე, რომელიც თბილისის პროფტექგანათლების მო- სწავლეთა შორის ჩატარდა. 500 მეტრზე გოგონათა შორის გამარჯვა 23-ე სასწავლებლის გუნ- დის წევრმა ტ. ჭიკაიძემ, ხოლო ჭა- ბუთა შორის — ლ. ჯღელმა (მე- 6 სასწავლებელი). 800 მეტრზე ჭაბუ- კებში ფინიშიზე პირველი იყო გ.

ს ა ბ რ ძ ო ლ ვ ე ლ ა დ

ციალიზებულ დახმარებას უწევს ჩვენი რესპუბლიკის სპორტს- მენებს, რომელთაც მი იღ ე ს საყრდენ-მამოძრავებელი აპარტის დაზიანებანი (ღრძობა, მოტეხილო- ბა, ამოვარდნილობა, სახსრის და- ზიანებანი, კუნთებისა და მყესების დაზიანებანი და სხვ.), უტარდებათ მკურნალობა. მექილუნოვი (მე-6 სასწავლებელი), მამაკაცთა შორის — მე-11 სასწავ- ლებლის წარმომადგენელი შ. მალ- რაძე. 1000-მეტრიან დისტანციასე სო- ფლის მეურნეობის მექანიზაციის № 10 სასწავლებლის გუნდის წევ- რმა გ. ლეონოვმა არავის დაუთმო პირველობა ჭაბუთა შორის, ხოლო ე. ისმაილოვმა — მოზრდილთა შო- რის. გუნდურ ჩათვლაში გამარჯვეს რკინიგზის პირველი სახელოსნო სასწავლებლის სპორტსმენებმა. შე- ჯიბრების პროცესში 108 მონაწი- ლემ შეასრულა სათანადო ნორმა. ი. რუხაძე

განყოფილებაში წარმატებით მკურნალობის შემდეგ დაბრუნდა სპორტს ჩვენი რესპუბლიკის მრავ- ლი სპორტსმენი, მათ შორის სპორტის ოსტატი-ტანვარჯიშეე- ბი: ბალიაური და ჩაჩხანი, ფეხ- ბურთელი ბ. სიჭინავა, მოჭიდავე რურუა და სხვანი. განყოფილება ემსახურება აგრე- თვე სპორტული ტრავმატისმის პროფილაქტიკის საქმესაც. სათა- ნადო ორგანიზაციული მუშაობა წარმოებს სპორტულ ტრავმათა მკურნალების შესწავლისა და აღმოფ- ხერისათვის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ამ დაზიანებათა სპეციფი- კის შესწავლისა და მკურნალობის ახალი რაციონალური მეთოდების გამომუშავებისათვის. ამგვარად, ჩვენს რესპუბლიკა- ში შექმნილია ყველა პირობა სპორტულ ტრავმათა პროფილაქტი- კისა და მკურნალობისათვის. ეს მნიშვნელოვანად გააუმჯობესებს ქართველ სპორტსმენთა ჯანმრთე- ლობისა და მათი სპორტული კვა- ლიფიკაციის ამაღლებას საქმეს. თ. უაგვულიძე, ექიმი-ორდინატორი.



პროგრამაშია 5 სახეობა

საქართველოს პირადი პირველობის გათამაშებამ თანამედროვე ხუთბრუნო სომხეთისა და ბელორუსიის სპორტსმენებიც მოიზიდა, რამაც შეჯიბრებას სამართო შეხვედრების ხასიათიც მისცა და დასაწყისშივე დამუხტა სპორტულმა ატმოსფერო.

ამ პატარა წინასიტყვაობის შემდეგ მივყვით თვით შეჯიბრების მსვლელობას: სამელომეტრიანი დისტანციის (14 ხელოვნური და ბუნებრივი დაბრკოლებებით) რ წუთში გავლისათვის სპორტსმენს ეწვერებოდა 1.000 ქულა. ყოველი ზედმეტი ან ნაკლები წამი შესაბამისად 4,5 საჯარიმო ან დადებითი ქულით განისაზღვრებოდა. ქულათა მაქსიმუმის — 1.150-ის მისაღებად სპორტსმენს მანძილი უნდა დაეფარა 5,27 წუთში.

ჩვენი მკითხველებისათვის საინტერესო იქნება შეჯიბრების ერთი პირობაც—უფრო ნაკლებ დროში მოსულ მხედარს დადებითი ნაცვლად საჯარიმო ქულები ეწვერებოდა, რადგან ცხენს შეიძლება მეორე წრეშიც მიეღო მონაწილეობა და მხედარს ზედმეტად არ უნდა გადაეღალა იგი. ამით სათანადო გლინდებოდა მხედრის მიერ ცხენის მართვის კულტურაც.

„უიღბლო“ კენჭისყრის წყალობით თავიდანვე განწირული იყო სპორტის ოსტატი ი. მურომცევი, რომელიც სტარტზე მეორე გავიდა, მცირე გაბარების „ისტორიკოსი“ უძლური აღმოჩნდა ტანდალი მხედარისათვის სამსახურის გასაწევად და ი. მურომცევი საკუთარი „ოფლით“ ნაშონ 832 ქულას დასჯერდა.

ათასქულიან ზღვარს პირველად სპორტსაზოგადოება „დინამოს“ უძლიერესმა სპორტსმენმა ე. ტერენტევიმ გადააჭარბა, რომელიც სტარტზე მესამე მივიდა და დისტანციას 5.38,7 წუთში გავლით 1.099 ქულა დააგროვა. ამ შედეგის გაუმჯობესება მხოლოდ საქართველოს პირველი გუნდის (სამატჩო შეხვედრაში მონაწილეობს საქართველოს ორ გუნდი) წევრმა ლ. სალუქვაძემ (ცხენი „პავლინი“) შეძლო. ქართველი მხედარი ყველაზე ახლოს იყო ქულათა მაქსიმუმთან, მაგრამ დისტანცია დაწესებულ დროზე ერთი წამით ნაკლებ დროში დაფარა და ქულათა მაქსიმუმიდან 4,5 საჯარიმო ქულა ჩამოაკლდა — 1.145,5.

შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდნენ პირად პირველობაზე მონაწილე თბილისელი მეორეთანრიგის ნები ბ. შამულაშვილი და ა. ოგნინაი. პირველმა ცხენ „პავლინი“ ტრასა 5.31,5 წუთში დაფარა და

იტილიასა და იაკონიასი

თბილისში დამთავრებული საკავშირო პირად-გუნდური პირველობის შემდეგ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მძლეოსნებმა მიაშურეს საზღვარგარეთის სტადიონებს და გამართეს რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრა. ერთი ჩველი ეწვია იაკონიასს, მეორე — იტილიას.

ორივე ქვეყნიდან უკვე მოვიდა პირველი ცნობები საბჭოთა მძლეოსნების გამარჯვებთა შესახებ. მსოფლიო რეკორდსმენმა სამალეზე ხტომაში ე. ბრუმელმა იაკონიაში ადვილად დაამარცხა იქაური

მბტომელები და ბრძოლა შეწყვიტა 2 მ 15 სანტიმეტრზე. ცუდმა ამინდმა ამ შესანიშნავ სპორტსმენს საშუალება არ მისცა იბრძოთ პიტუნსა და ოლელო რეკორდსმენსა. პონიამი გამარჯვება მოიპოვა აგრეთვე ე. ბრუმელის წინააღმდეგ. ცუდი ამინდი გამოიწვია 62 მ 93 სმ-ზე.

იტილიაში გამარჯვებულ სამალეოთა სპორტსმენთაგან, განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. კუხნეცივის მაჩვენებლები. მან შუბიტყორცნა 18 მეტრსა და 59 სანტიმეტრზე.

1.072,0 ქულით მესამე ადგილი გაიწვია, მეორე საკმაოდ ჩუბტი ცხენით („სილინი“) 1.049 ქულის მოპოვება შეძლო და მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა.

რაც შეეხება სამატჩო გუნდურ შეჯიბრებას, აქ დაწინაურდნენ სომხეთის გუნდის წარმომადგენლები, რომლებმაც 3.051,0 ქულა (ოკრიბება ოთხი მონაწილის შედეგი) დააგროვეს. მეორეზე არიან ბელორუსიის — 3.004,5 ქულა და მესამეზე—ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები — 2.973,5 ქულა.

ს. რომაშვილი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი. ზ. სამსონაძე

ს. რომაშვილი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი. ზ. სამსონაძე

სურათში: შ. მამულაშვილი ძღვეს მორიგ დაბრკოლებას. ფოტო ი. იუნაივისა.

დარჩე სამი გური

თბილისში, ცენტრალურ საკადრაკო კლუბში გრძელდება ოსტატობის კანდიდატთა შესარჩევი ტურნირი, რომელშიც 11 თბილისელი მოჭადრაკე მონაწილეობს.

IV ტურში კალატოზიშვილმა მოულოდნელად გაიმარჯვა, ჯინჯიხაშვილმა — გიორგაძეს, იზვოზნიკოვმა — ეგიაშვილს. ყარაიმთ დასრულდა კიკიანის თხელიძისა და მაჭავარიან-ვეტოხინის პარტიები.

V ტურში ჯინჯიხაშვილმა გაიმარჯვა კალატოზიშვილთან, გიორგაძემ—ეგიაშვილთან, დანარჩენი შეხვედრები ყარაიმთ დამთავრდა.

VI ტურში კვლავ გაიმარჯვა ჯინჯიხაშვილმა, რომელმაც დაამარცხა ვეტოხინი. გამარჯვებულმა მოულოდნელად გაიმარჯვა ეგიაშვილმა — კალატოზიშვილს და კიკიანმა—იზვოზნიკოვს. ყარაიმთ ფიქსირებულ იქნა თხელიძე-გიორგაძის შეხვედრაში.


VII ტურში ჯინჯიხაშვილთან დამარცხდა გერსამია. ვეტოხინმა მოულოდნელად გაიმარჯვა ეგიაშვილს, ხოლო გიორგაძე-კიკიანისა და გამარჯვებულმა მაჭავარიანმა—ეგიაშვილმა მოულოდნელად გაიმარჯვა ვეტოხინს და კიკიანს—კალატოზიშვილს. ყარაიმთ—კალატოზიშვილს. ყარაიმთ შეთანხმდნენ იზვოზნიკოვი და გიორგაძე.

კიკიანისა და გამარჯვებულმა მაჭავარიანს პარტიები ყარაიმთ დამთავრდა.

VIII ტურში ჯინჯიხაშვილმა მოულოდნელად გაიმარჯვა ეგიაშვილს—გერსამიას, თხელიძემ—ვეტოხინს და კიკიანმა—კალატოზიშვილს. ყარაიმთ შეთანხმდნენ იზვოზნიკოვი და გიორგაძე.

VIII ტურის შემდეგ რ. ჯინჯიხაშვილს 7 ქულა აქვს, თ. კიკიანს — 5 ქულა, თ. გიორგაძეს—4,5 ქულა, მ. თხელიძეს — 4 ქულა.

ტურნირის დამთავრებას აკლია კიდევ სამი ტური.



ხვედ იწყება ტურნირი

ხვედ მოსკოვში დაიწება წყალობურთში 1961 წლის პირველობის პირველი წრის უკანასკნელი შეხვედრები. როგორც ცნობილია, ივნისის თვეში თბილისსა და ლეოვში გაიმართა წინასწარი მატჩები. ჩვენი რესპუბლიკის ზონაში დასკვნით მატჩებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს თბილისის „დინამომ“, მოსკოვის „ბურევესტიკამ“, ლენინგრადის „ბალტიკამ“ და „ტრუდმა“ (რსფსრ). ლეოვში პირველ ოთხეულში მოხვდნენ ვმფ,

მოსკოვის „დინამო“, ლეოვის „დინამო“ და წითელდროშოვანი კასპის ფლოტილის გუნდი (ბაქო). ზემოაღნიშნული 8 გუნდი იბრძოლებს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის სახელისათვის. ლეოვის ზონაში გამარჯვებულები შეხვედრებიან თბილისის ზონაში გამარჯვებულებს.

წყალობურთელთა ჩემპიონატში მონაწილე გუნდებიდან ყველაზე კარგი სატურნირო მდგომარეობა ბქვს თბილისის „დინამოს“, რომელმაც წინასწარ შეხვედრებში 7 გამარჯვება მოიპოვა და მხოლოდ ერთი მატჩი დამთავრა ფრედ (კიევის „ბურევესტიკთან“). მაგრამ, რადგან კიეველები უძლიერესთა ოთხეულში ვერ მოხვდნენ, თბილისის „დინამო“ პირველი წრის უკანასკნელ შეხვედრებში ჩაებმება 6 ქულით, როცა მოსკოვის არმიელებსა და „დინამოს“ 5-5 ქულა აქვთ.


ჩემპიონობისათვის ბრძოლა უმთავრესად გაიმართება თბილისის, მოსკოვის „დინამოსა“ და ვმფ-ის (ყოფილი ცსკა) გუნდებს შორის, რადგან ეს კოლექტივები რამდენიმე ქულით უსწრებენ უახლოეს მეტოქეებს. ამას გარდა, ზემოაღნიშნული 3 გუნდი როგორც ტაქტიკურად, ისე ტექნიკურად მთელი თავით ვალა დგანან ჩემპიონატში მონაწილე სხვა გუნდებზე.

გასული წლის პირველობაზე წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წყალობურთელები, რომლებმაც მოიპოვეს მეორე ადგილი და ვერცხლის მედლები. დინამოელებმა 15 მატჩი მოიგეს, 6 ფრედ დამთავრეს და მხოლოდ ერთი წააგეს მოსკოვის „დინამოსთან“ (2:3).

ქვემოთ მოგვყავს პირველი წრის პირველი ტურის შემდეგ გუნდების სატურნირო მდგომარეობა.

თ. მ. ფ. წ. ბ. ქ.	„დინამო“ თბ.	3 3 0 0	8:0 6
ვმფ	3 2 1 0	11:5 5	
„დინამო“ მ.	3 2 1 0	12:6 5	
„ბურევესტიკა“ მ.	3 1 1 1	5:5 3	
„ბალტიკა“ ლ.	3 0 2 1	8:7 2	
„დინამო“ ლვ.	3 1 0 2	5:10 2	
„ტრუდი“ რსფსრ	3 0 1 2	4:8 1	
კვზ.	3 0 0 8	7:14 0	

ხვედ თბილისის „დინამო“ შეხვედრა კვზ-ს, 27 ოქტომბერს — ლეოვის „დინამოს“, 28 ოქტომბერს — ვმფ-ს, 29 ოქტომბერს — მოსკოვის „დინამოს“.



სურათში: საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი ნ. ქიქავა (მარჯვნივ) რიზზე.

პრეტენდენტთა ტურნირზე

დღეს იუგოსლავიის ქალაქ ბანია-ვრაჩკაში იწყება მოჭადრაკე ქალთა პრეტენდენტთა ტურნირი. აქ გამარჯვებული 1962 წელს მსოფლიო ჩემპიონის სახელს შეეცილება მსოფლიოს ახლანდელ ჩემპიონს ე. ბიკოვას (სსრ კავშირი). პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობს ევროპისა და ამერიკის 18 უძლიერესი მოჭადრაკე.

გუშინ პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობისათვის მოსკოვიდან იუგოსლავიას გაფრინდნენ: სერთაშორისო ოსტატები ე. ბორისენკო, ლ. ვოლპერტი, კ. ზვორიკინა, ოსტატები ნ. გაფრინდაშვილი და ტ. ზატულოვსკაია.



სურათში: საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი ნ. ქიქავა (მარჯვნივ) რიზზე.



საქრულო

გაზეთი „ცენტრალური“ და „საბჭოთა“ კორესპონდენტი ეწვია ავსტრიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელს კარლ დეკერს და ესაუბრა თანამედროვე ფეხბურთის პრობლემებზე.


ამდენიმე კითხვა გარკვეულ ინტერესს შეიცავს ჩვენი გულშემატკივრებისათვის. **კითხვა:** რა ადგილი უჭირავს საბჭოთა ფეხბურთს ევროპის მასშტაბით?

მე ვეცნობ ევროპის უძლიერეს გუნდებს. ბევრჯერ მინახავს საბჭოთა ფეხბურთელები — შარშანწინა წლებიდან დასაწყისიდან. საბჭოთა კავშირის ნაკრები წელს ავსტრიას ეწვია ცხკა და ბოლოს, კვლავ ვიხილე საბჭოთა კავშირის ნაკრები მრავალჯერ უძლიერეს დანებებულ ფეხბურთელს. ძალიან კმაყოფილი დავიქნე მოსკოვში მსოფლიო გამარჯვებულ საბჭოთა ფეხბურთელები ევროპაში უძლიერესი რიცხვს მიეკუთვნებიან, ცნობილია მათი სისწრაფე და ტექნიკა. საბჭოთა ფეხბურთის ჰყავს საერთაშორისო კლასის მოთამაშეები.

კითხვა: რა შანსები აქვთ ევროპის გუნდებს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში?

ჩვენი კონტინენტის გუნდებს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში ჩილში ძალზე გაუჭირდებათ. ევროპელთა შანსები მცირეა. მე მჯერა საბჭოთა მერიტული უპირატესობა და, რასაკვირველია, პირველ რიგში გვულისხმობ ბრაზილიას.

ინტერვიუ



ქრონიკა

მსოფლიო პირველობის მორიგ შესარჩევ მატჩში ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდმა მიიღო საბერძნეთის ფეხბურთელები. მატჩი, რომელიც ბელფასტში გაიმართა, დამთავრდა ირლანდიელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0. ახლა მესამე რაუნდში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს 6-დან 6 ქულა აქვს. საბერძნეთის გუნდს 6-დან 2 ქულა, ირლანდიელებს 8-დან 2 ქულა. ამრიგად, დარჩენილი შეხვედრების შედეგების მიუხედავად გერმანიის ფეხბურთელებს განაღდებული აქვთ ჩილში წასვლის უფლება.

დაიწყო ევროპის ჩემპიონთა თასის მეორე ტურის შეხვედრები. სტამბოლში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონმა „ნიურნბერგმა“ დაამარცხა თურქეთის ჩემპიონი „ფენერბაჩე“ — 2:1.

დანიის ქალაქ ოდენსში თამაშობდნენ დანიის ჩემპიონი „ოდენსე“ და მადრიდის „რეალი“. მატჩი მოიგეს ესპანეთის ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:0.

ფრედ — 1:1 დამთავრდა მატჩი კარდიფში, სადაც თამაშობდნენ ინგლისისა და უელსის გუნდები.

ვარშავაში მყოფ ცნობილ ფეხბურთელს დი სტეფანოს ეწვივნენ ურნალისტები. მან ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ასაკის გამო მალე თავი უნდა დაანებოს თამაშს. **შემდეგ:** რა იქნება შემდეგ? — მიაყარეს მას კითხვები. ყოველ შემთხვევაში, — თქვა დი სტეფანომ, — ფეხბურთის მწვრთნელი არასოდეს გაუხდება. ან რა სასიამოვნოა ჩემოდანზე ჯდომა!

დი სტეფანოს ამ სიტყვებში უდავოდ არის სიმართლე. თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე იგი ხედავს მწვრთნელთა სწრაფ ცვლას. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას საბჭოთა ამერიკაზე, სადაც თვითელი მატჩის წაგება მწვრთნელს საფრთხის წინაშე აყენებს. საყურადღებოა, რომ არგენტინელთა ცნობილი მწვრთნელი გ. სტაბილე ეროვნულმა ფედერაციამ იმდენჯერ გაათავისუფლა და დანიშნა ნაკრების ხელმძღვანელად, რომ თვით სტაბილემ ყოველდღიურ მუქარას არჩია პარაგვაიში ვადასკ-

გასული წლის გაზაფხულზე გარდაიცვალა ფეხბურთის საერთაშორისო (ფიფა) პრეზიდენტი არტურ დრიური. პრეზიდენტის ფუნქციებს ასრულებდა პირველი მოადგილე „ყოვლისშემძლე“ ერნესტ ტომენი, რომელსაც მეტსახელად „ძლიერ კაცს“ უწოდებდნენ. ფიჭობდნენ, რომ ტომენი პრეზიდენტის სავარძლის დაკავების პირველი კანდიდატი იქნებოდა. 1961 წელს ყველაფერი შეიცვალა — ლათინური ამერიკის ქვეყნებში იგი ავტორიტეტით სარგებლობს, ხოლო ევროპელებმა მას აღმაცერად დაუწყეს ყურება.

რა მოხდა? მიმდინარე წლის გაზაფხულზე ტომენმა შეკრიბა ურნალისტები და მათთან საუბრის დროს ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა. ამას გარდა ტომენმა გაილაშქრა თასის მფლობელთა თასისა და საკონტინენტური მატჩების გათამაშების მიმართ, სადაც ერთმანეთს ხვდებიან ევროპა-


სა და სამხრეთ ამერიკის საკლუბო გუნდები. გულბრყვილო ადამიანებს ალბათ ეგონათ, რომ ტომენი იბრძოდა სპორტის სიწმინდისათვის. მაგრამ ასე არ იყო. ტომენი საერთაშორისო ტოტალიტარისტების მოწოდების ორგანიზატორულ ნიჭს იჩენდა, რის წყალობითაც იგი დიდ მოგებას იღებდა. უფრო მეტიც, ტომენმა მოაწყო ტურნირი, რომელშიც რამდენიმე საკლუბო გუნდი მონაწილეობდა და ამის წყალობითაც გაიხიქლა ჯიბე.

ფიფას მთელი პოლიტიკა, რომელსაც ანხორციელებდა ტომენი, სასტიკი წინააღმდეგი იყო ევროპის ორგანიზაციისა (ფეფა), რომელსაც დაწესებული ჰქონდა მთელი რიგი საკუთარი ლონსიძიებები — ევროპის თასი, ჩემპიონთა თასი, თასის მფლობელთა თასი და ა. შ.

უეფამ ფარ-ხმალი არ დაყარა და თავისი კანდიდატი წააოყენა პრეზიდენტის პოსტზე. ეს იყო ინგლისის ფედერაციის მდივანი, ფეხბურ-

თის ერთ-ერთი დიდი მცოდნე ინგლისელი სტენლი როუზი. მთელი დღე გაგრძელდა პრეზიდენტის არჩევნები, რომელიც ლონდონში გაიმართა. საჭირო გახდა ხმის მიცემა რამდენიმე ტურად. სამხრეთ ამერიკის ქვეყნები ხმას აძლევდნენ ტომენს, მაგრამ ხმების უმრავლესობა მაინც როუზმა მიიღო, რომელიც პრეზიდენტის პოსტზე არჩეულ იქნა 8 თვის ვადით, ფედერაციის მორიგ კონგრესამდე, რომელიც 1962 წელს ჩილში მოეწეოდა.

ე. სტეფანოს მარცხი



ლა. მისმა „მემკვიდრემ“ ვ. სპინტიმ, რომელიც ისევე რამდენიმეჯერ იქნა დათხოვილი და შემდეგ აღდგენილი, თვითონვე შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ და თუ ეს განცხადება დღემდე არაა მიღებული, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის წინ არაიცი კიდებს ხელს არგენტინის ნაკრებს. თვით ისეთი გამოჩენილი მწვრთნელიც კი, როგორცაა ე. ერერა, არაერთხელ იქნა „ექსპორტირებული“.

ჩემოდანზე ზის ინგლისელი მწვრთნელი ჯ. რაინორი. მსოფლიო ჩემპიონატის წინა წელს მას ჩვეულებრივ იწვევენ ხოლმე თავიანთი გუნდის მწვრთნელად შევადგები, მაგრამ მთავრდება გათამაშება და რაინორიც, როგორც წესი, უშუშე-ვარი რჩება.

განსაკუთრებით გაკვირვებულა „იუვენტუსის“ მფარველი, რომელიც ავტოქარხანა „ფიატის“ პატრონია. მას მიაჩნია, რომ „იუვენტუსი“ ევროპაში საუკეთესო გუნდი უნდა გახდეს და ამიტომ ერთი წლის განმავლობაში გამოცვალა სამი მწვრთნელი. ამით „იუვენტუსის“ მდგომარეობა იტალიის ჩემპიონატში არ შემსუბუქებულა — შარშანდელი ჩემპიონი მხოლოდ მე-10 ადგილზეა. ანალოგიურ

მდგომარეობაში არიან სხვა იტალიელი მწვრთნელებიც. ამ სისტემატური განდევნის ფონზე თვალსაჩინოა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს ათეული წლებია წვრთნის ზ. ჰერბერგერი, რომელსაც ფეხბურთის სამყაროში „ბებერ მელს“ უწოდებენ. საქმე, რასაკვირველია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტის მესვეურთა გულკეთილობაში არ არის. ჰერბერგერმა მოქნილი ტაქტიკის წყალობით მსოფლიო ჩემპიონობას მიაღწია, ხოლო უკანასკნელ ჩემპიონატში — საპატიო მე-4 ადგილს. მხოლოდ ამ მწვრთნელის წყალობითაა, რომ გერ-ს ნაკრები, რომელიც არ გამოირჩევა არც შესანიშნავი ფეხბურთელებით და არც ბრწყინვალე ტექნიკით, სისტემატურად აღწევს მაღალ შედეგებს.

ან არა მარტო გუნდის მეპატრონეებზე, არამედ გულშემატკივრებზეც. ცნობილია შემთხვევა, რომცა არგენტინის გუნდის მწვრთნელებს პოლიცია იცავდა გულშემატკივართაგან. ასეთივე ისტორია გადახდათ სხვა სპეციალისტებსაც, როცა მათი გუნდი განიცდიდა წარუმატებლობას.

3. გამრეკალი

რედაქტორი ი. უზულაშვილი

ს ა მ ლ !
„გუმბაზისნიის“ საბლიონი
ფეხბურთი
საერთაშორისო შეხვედრა „პეტროლული“ (პლოფტი) — „დინამო“ (თბილისი) დასაწყისი 16 საათზე.

26-29
ოქტომბერი
3. ი. ლენინის სახელობის საორბული ღარბაზი
საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა
ს ა მ გ ო შ ი
დასაწყისი 12 ს. და 18 ს.

კედელი...
ნახატი ლ. სიხარულიძისა.



გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დებეშებისათვის — თბილისი, „ალლო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.